

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის სტრატეგიების დანერგვა მეოთხე  
კლასის მოსწავლეებთან საგნობრივი სწავლებისას

გვიშიანი თეკლა, ზარაფიშვილი მარიამი, კიკნაველიძე სალომე

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“*

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (I-VI კლასები)

სამაგისტრო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჯანიძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

გვიშიანი თეკლა, ზარაფიშვილი მარიაში, კიკნაველიძე სალომე

23.06.2025

## მადლობა

გულწრფელ მადლობას ვუხდით კვლევაში აქტიურად ჩართულ ყველა პირს, რომელთა მხარდაჭერითა და თანადგომით შევძელით დასახული მიზნის მიღწევა.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით შპს “ევროპული სკოლის” დირექციას, მეოთხე კლასის დამრიგებელსა და კვლევაში ჩართულ ყველა საგნობრივ მასწავლებელს, რომელთა დახმარებით, მზადყოფნითა და მხარდაჭერით ეფექტურად განხორციელდა შემუშავებული დიზაინი.

დიდი მადლობა კვლევაში ჩართულ მეოთხე კლასის მოსწავლეებს - მათი გულწრფელი ჩართულობა და ინტერესი კვლევის პროცესს განსაკუთრებულად საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდიდა.

მადლიერები ვართ მოსწავლეთა მშობლების მიმართ, რადგან საშუალება მოგვცეს მათ შვილებს მონაწილეობა მიეღოთ კვლევაში.

მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო კვლევის ხელმძღვანელს, “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის” პროფესორს, სოფიკო ლობჯანიძეს, პროფესიული რჩევებისა და გაწეული შრომისათვის.

მადლიერებას გამოვხატავთ ჩვენი ოჯახისა და მეგობრების მიმართ, მოთმინებისა და გაწეული მხარდაჭერისათვის.

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დიზიანის კვლევის ანგარიშს, თემაზე: პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის სტრატეგიების დანერგვა მეოთხე კლასის მოსწავლეებთან საგნობრივი სწავლებისას.

განხორციელებული კვლევა არის მცდელობა, გამოიკვლიოს, რამდენად აქვთ მოსწავლეებს განვითარებული პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები და დაინერგოს სტრატეგიები შესაბამისი კონპეტენციების განსავითარებლად საგნობრივი სწავლებისას. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყებულია “ოსბორნ-პარნისის პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის მოდელი (CPS)”, რომელიც წარმოადგენს პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრისთვის ეტაპობრივ პროცესს, ასევე ედვარდ დე ბონოს “აზროვნების ექვსი ქუდი”, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემის მრავალმხრივ ანალიზსა და აზროვნების სხვადასხვა ტიპების გამოყენებას სიტუაციების შესაბამისად.

სამიზნე კლასში ფონური მდგომარეობის დასადგენად მოსწავლეებმა შეავსეს წინასწარ შედგენილი კითხვარები, რომლებიც შედგებოდა დახურული კითხვებისა და გასაანალიზებელი ქეისისგან. კითხვარი მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, მოსწავლეთა თვითშეფასებას და მეორეს მხრივ, ქეისის ანალიზი საშუალებას გვაძლევდა, რეალურად დაგვედგინა, რამდენად ჰქონდათ მოსწავლეებს განვითარებული პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები. ასევე კვლევაში ჩართულ მასწავლებლებთან განხორციელდა ინტერვიუ, რათა შეგვესწავლა მათი პრაქტიკა ამ მიმართულებით. კითხვარისა და ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ სამიზნე კლასში მოსწავლეები საჭიროებენ მხარდაჭერას და მასწავლებლებიც მზად არიან ხელი შეგვიწყონ დიზიანის დანერგვის პროცესში.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა დიზიანის კვლევის მეთოდოლოგიით, რომლის მიზანია თეორიული მოდელის პრაქტიკაში დანერგვა და მისი შეფასება რეალურ

სასწავლო გარემოში. დიზაინის კვლევის სპეციფიკაზე და სამიზნე კლასში არსებულ მდგომარეობაზე დაყრდნობით შემუშავდა შესაბამისი დიზაინი/ინტერვენციები, რომელიც განხორციელდა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მე და საზოგადოება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. დიზაინის დანერგვის პროცესში ფონური დაკვირვებისა და რეფლექსიის საფუძველზე ხდებოდა დიზაინის ცვლილება.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თავდაპირველად მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები არასაკმარისად იყო განვითარებული. განსაკუთრებით უჭირდათ ორიგინალური იდეების მოფიქრება და არგუმენტირებული მსჯელობა. ინტერვენციების განცხორციელების შემდეგ კი გამოიკვეთა დადებითი დინამიკა, კერძოდ: მოსწავლეები აყალიბებდნენ მრავალფეროვან იდეებს, რომელსაც არგუმენტირებულად ამყარებდნენ. ეს შედეგი ადასტურებს დიზაინის ეფექტიანობას.

**ძირითადი საკვანძო სიტყვები:** პრობლემა, შემოქმედებითად გადაჭრა, უნარი, აზროვნება.

## Abstract

The master's thesis is a report on a design research project on the topic: Introducing creative problem-solving strategies to fourth-grade students in subject-specific learning.

The conducted research is an attempt to investigate the extent to which students have developed creative problem-solving skills and to introduce strategies to develop relevant competencies in subject-specific learning. The theoretical framework of the research is the “Osborne-Parnes Creative Problem Solving Model (CPS)”, which is a step-by-step process for creative problem-solving, as well as Edward de Bono's “Six Thinking Hats”, which aims to analyze the problem from a multifaceted perspective and use different types of thinking according to situations.

To determine the background situation in the target class, students filled out pre-compiled questionnaires consisting of closed questions and a case to be analyzed. The questionnaire aimed, on the one hand, at students' self-assessment, and, on the other hand, the case analysis allowed us to actually determine the extent to which students had the skills to creatively solve the developed problem. An interview was also conducted with the teachers involved in the study in order to study their practice in this direction. The analysis of the questionnaire and interviews showed that students in the target class need support and teachers are also ready to assist us in the process of implementing the design.

The study was conducted using the design research methodology, the aim of which is to implement the theoretical model in practice and evaluate it in a real learning environment. Based on the specifics of the design research and the current situation in the target class, appropriate designs/interventions were developed, which were implemented in the following subjects: Georgian Language and Literature, Me and Society, Natural Sciences, and Fine and Applied Arts. During the design implementation process, design changes were made based on background observation and reflection.

The results of the study showed that initially the students' creative problem-solving skills were insufficiently developed. They especially had difficulty coming up with original ideas and reasoning. After the interventions, a positive dynamic was observed, namely: the students formulated a variety of ideas, which they supported with arguments. This result confirms the effectiveness of the design.

**Key words:** problem, creative problem-solving, ability, thinking.